შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.818)

17 - 24 მარტი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არის თუ არა ადგილობრივი ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული?!

გვ3.3

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ჩვენი ბიუჯეტი, ისედაც სოციალურად ორიენტირებულია, ყოველწლიურად ვცდილობთ, გავზარდოთ სოციალური პაკეტი. თვალსაჩინოებისათვის შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, სოციალური პაკეტი კვლავ გაიზარდა 20 000 ლარით, ასევე დედოფლისწყარო ლიდერია მთელი კახეთის მასშტაბით სათნოების სახლის დაფინანსების კუთხით... ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გავშვთა და სოციალურად დაუცველთა ჯანდაცვის ხარჯები“

თურქეთის შს მინისტრი – თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას

გვ3.2

პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტის ინიციატივით სტუდენტები ქართული ენის შესწავლას შეძლებენ

გვ3.7

2 წლის გოგონას ლეიშმანიოზი აღმოაჩნდა

გვ3.2

ევროკავშირის პროგრამას – „მერების შეთანხმება – აღმოსავლეთი“ დედოფლისწყაროც შეუერთდა

გვ3.3

„თუ რამეს მიზნად დაისახავ, მას ბოლომდე უნდა მიჰყვე“...

გვ3.4

გვ3.3

დედოფლისწყაროს ფერმაში მწყემსი დაჭრეს

დატყვევებული ცხედრები

გვ3.6

C M Y K

თურქეთის შს მინისტრი – თურქეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას

თურქეთის რესპუბლიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას, სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას და არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების მაღალ დონეს — ამის შესახებ თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმსა-ქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან დღეს გამართული შეხვედრისას განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. განსაკუთრებით აღინიშნა, საქართველოსა და თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროების ნაყოფიერი თანამშრომლობა.

სულეიმან სოილუს განცხადებით, ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელსაც დღეს ხელი ქართველ კოლეგასთან ერთად მოაწერა, სწორედ, ამ თანამშრომლობის გაძლიერებისკენ არის მიმართული.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მემორანდუმის გაფორმება ორგანიზებული ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ორივე ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით თანამშრომლობას კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს. მისივე თქმით, კრიმინალისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ თურქეთისა და საქართველოს შესაბამის უწყებებს შორის მჭიდრო ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

შეხვედრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე აფასებს თურქეთის ხელისუფლების მტკიცე პოზიციასა და ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესებისადმი.

შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თედო ჯაფარიძე, თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრები და თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფატმაჯერენ იაზგანი ესწრებოდნენ.

მარტოხელა მშობლის სტატუსი, შესაძლოა, გაფართოვდეს და ისეთ პირებსაც მიენიჭოთ, რომლებიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, შვილს 18 წლამდე მარტო ზრდიან

მარტოხელა დედისა და მარტოხელა მამის სტატუსი შესაძლოა გაფართოვდეს. მარტოხელა მშობლის სტატუსის ისეთი პირებისთვის მინიჭება იგეგმება, რომლებიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, შვილს 18 წლამდე მარტო ზრდიან.

სტატუსის გადახედვაზე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობს, რომელიც დღეს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

„სამოქალაქო კოდექსის“ დღეს არსებული ნორმის გათვალისწინებით, მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას გამორიცხავს.

„ვხედავთ იმის საჭიროებას, რომ მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრებას ფუნდამენტურად უნდა მივუდგეთ და სახელმწიფომ მარტოხელა მშობლებთან მიმართებით გრძელვადიანი პოლიტიკა განსაზღვროს. არიან სხვადასხვა კატეგორიის მარტოხელა მშობლები. ვფიქრობთ, რომ კანონში დღეს არსებული ჩანაწერი, რომელიც მარტოხელა მშობლის სტატუსს განსაზღვრავს, იმ რეალობას არ პასუხობს, რასაც ყოველდღიურობაში ვხვდებით. არსებობენ კიდევ სხვა კატეგორიის მშობლები, რომელიც რეალურად მარტო ზრდიან შვილებს. არიან დედები ან მამები, რომლებიც ფაქტობრივად მარტო ზრდიან შვილს და მათ ეს რეალობა პარტნიორის დაღუპვის შედეგად დაუდგათ“, - განაცხადა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

დღევანდელ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება ისეთ მშობლებზე გამახვილდა, რომელთა შვილის დაბადების მოწმობაში ფორმალურად ორივე მშობელი ფიქსირდება, თუმცა ბავშვს რეალურად მხოლოდ ერთი მშობელი ზრდის. როგორც შეხვედრაზე ითქვა, მარტოხელა მშობლის სტატუსი ასეთ პირებზეც უნდა გავრცელდეს, თუმცა ლევან გოგიჩაიშვილის აზრით, მსგავს შემთხვევებში, ალიმენტის ინსტიტუმა უნდა იმუშაოს.

„აქ არის ხაზი, სადაც იწყება ალიმენტის პასუხისმგებლობა და სადაც ალიმენტის პასუხისმგებლობა არ დგება. ვიდრე მოქმედებას ალიმენტი არ იწყებს, მანამდე მარტოხელა მშობლის სტატუსმა და ამ სტატუსზე მიბმულმა პრივილეგიებმა უნდა იმუშაოს, რაც ადამიანებს ცხოვრებას გაუადვილებს. იქ სადაც ალიმენტის ინსტიტუტი შემოდის, უნდა დარჩეს ალიმენტის მომენტი. თუკი პრაქტიკაში ალიმენტის აღსრულების პრობლემას ვხედავთ, მაშინ ალიმენტის კომპონენტი უნდა გავაძლიეროთ როგორც აღსრულების მიმართულებით, ასევე პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით. თუკი კანონით ისეთ ფორმულირებას მივიღებთ, რომლითაც ეს ორი რამ ერთმანეთს გადაფარავს, ალიმენტის ინსტიტუტს ძალიან დიდ დარტყმას მივაყენებთ, რაც კარგი არ იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ის ადამიანები წავახალისოთ, ვინც ალიმენტის გადახდას ისედაც არ აპირებს და იტყვის: სახელმწიფო აგერ არის და ბარემ ჩემს გადასახდელს, სახელმწიფო გადაიხდის“, - აღნიშნა ლევან გოგიჩაიშვილმა.

2 წლის გოგონას ლეიშმანიოზი აღმოაჩნდა

ქალაქ დედოფლისწყაროში 2 წლის გოგონას ლეიშმანიოზის ინფექცია დაუდასტურდა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დაუდასტურეს. ანალოგიური შემთხვევები დედოფლისწყაროში გასულ წლებშიც დაფიქსირდა, ამიტომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ დედოფლისწყაროში ინფექციის კერაა, რაც თავს ყოველწლიურად იჩენს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ლალი ალადაშვილი მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ამბობს, რომ ლეიშმანიოზი ერთერთი რთული ინფექციაა.

„მარტის პირველ რიცხვებში ლეიშმანიოზი ორი წლისა და ორი თვის გოგონას დაუდასტურდა. პაციენტის ოჯახს ჯანდაცვის ცენტრისთვის არ მიუმართავს, რაკი მაღალი სიცხეები აღენიშნებოდა, თავდაპირველად გოგონა რაიონულ საავადმყოფოში, უბნის ექიმთან მიიყვანეს. თავდაპირველად ბავშვი გასინჯა პედიატრმა მანანა ბეგლარიშვილმა. კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემებიდან გამომდინარე შემდეგ დედოფლისწყაროს საავადმყოფოდან იაშვილის კლინიკაში გაიგზავნა, სადაც ლეიშმანიოზის დიაგნოზი დაუდგინდა. მონაცემები პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში გაიგზავნა და იქაც იგივე პასუხი იყო. ამჟამად ბავშვი მკურნალობის კურსს გადის, თავს კარგად გრძნობს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასტაბილურდა. ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოდის და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. ზოგადად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დედოფლისწყაროში ლეიშმანიოზის კერაა, რომელიც პერიოდულად თავს იჩენს და ადამიანზე გავრცელების შემხვევები თითქმის ყოველწლიურად ფიქსირდება. გასულ წელს ისევ ქალაქ დედოფლისწყაროში 5 წლამდე ასაკის ბავშვს აღმოაჩნდა, ხოლო შარშანწინ სოფელ არბოშიკში გვქონდა ანალოგიური მდგომარეობა. ძირითადად დედოფლისწყაროს დასავლეთ მხარეს მდებარე ზონაში იჩენს თავს. ფაქტია, ინფექციის კერა გვაქვს დედოფლისწყაროში, თუმცა რა არის გამომწვევი მიზეზი, ან საიდან მოხდა ბავშვების დაინფიცირება, კონკრეტულად ამის თქმა შეუძლებელია,“ – განუცხადა „შირაქს“ ლალი ალადაშვილმა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეგიონულ ფილიალში აღნიშნავენ, კახეთში ბავშვების ლეიშმანიოზით ინფიცირების შემთხვევები გაიზარდა. თელავში ამბობენ, რომ წინა წლებთან შედარებით ამ დაავადებით უფრო მეტი ბავშვია ინფიცირებული. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი მერაბ იოსავა აღნიშნავს, რომ რამდენიმე წელია, რეგიონებში დაავადების შემთხვევებმა მოიმატა.

„ჩვენი სამსახური მუდმივად აწარმოებს ლეიშმანიოზით დაავადების სტატისტიკას. ათეული წელია, ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ. მონაცემებს თუ გადავხედავთ, ადრე კახეთში საერთოდ არ ფიქსირდებოდა დაავადების გავრცლება. ძირითადად დაავადება ფიქსირდებოდა თბილისში. რამდენიმე წელია, დაავადებამ რეგიონებში გადაინაცვლა. გასულ წელს კახეთში 6 შეთხვევა დაფიქსირდა: თელავსა და ყვარელში – ორ-ორი, საგარეჯოსა და გურჯაანში თითო. 2018 წლის მონაცემებით კი სამი ფაქტია გამოვლენილი. თელავში, დედოფლისწაროში და ყვარელში. დაავადება ძირითადად ბავშვებში ვლინდება. ლეიშმანიოზით დაავადებულ ძაღლს მწერი ფლებოტომუსი კბენს, რომელიც შემდეგ ადამიანს კბენს და დაავადების გამომწვევ უჯრედებს გადასცემს. ამიტომ ლეიშმანიოზს ტრანსმისიულ დაავადებას უწოდებენ. ლეიშმანიოზი ძაღლებში ძალზე აქტუალური პრობლემაა. თავდაპირველად მათ, როგორც წესი, არაფერი ეტყობათ, შემდეგ ეწყებათ ბეწვის ცვენა, წონის კლება, სისხლდენა, უჩნდებათ წყლულები. ხშირად სწორედ ამ დროს ამჩნევენ დაავადებას. ავადმყოფობის შემთხვევები, წესისამებრ, ზამთარში ან გაზაფხულის დამდეგს იმატებს. ლეიშმანიოზით დაავადებული ძაღლის განკურნება პრაქტიკულად შეუძლებელია. არსებობს რეკომენდაცია, იგი დააძინონ“, – აღნიშნა მერაბ იოსავამ.

კახეთში ძაღლების ლეიშმანიოზით დაავადების შემთხვევებიც გაიზარდა. ინფორმაციას დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ადასტურებენ.

უწყებაში ამბობენ, რომ წინა წლებთან შედარებით უფრო მეტი ბავშვია ინფიცირებული ამ დაავადებით. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი მერაბ იოსავა აღნიშნავს, რომ რამდენიმე წელია რეგიონებში დაავადების შემთხვევებმა მოიმატა.

ვეტერინარი სოსო გურგენიძე ამბობს, რომ კახეთში მომუშავე ვეტერინარები დაავადებას მხოლოდ ცხოველის ან პირუტყვის გარეგანი დათვალიერების შემდეგ ადგენენ, ლაბორატორიულად დაავადების დადასტურება მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი.

„ჩემთან თუ მოიყვანენ ცხოველს მსგავსი დაავადებით, მხოლოდ შემიძლია დავათვალიერო და პატრონს სავარაუდო პასუხი ვუთხრა. აქ რეგიონში ვერ ხერხდება ლეიშმანიოზის ლაბორატორიულად დადასტურება. ცხოველი, რომელზეც ეჭვი გვაქვს, რომ დაავადებულია, თბილისში სხვა ვეტერინიანულ კლინიკებში ვაგზავნით გამოკვლევაზე. რეგიონებში მოსახლეობამ არ იცის. როგორ მიხედოს ძაღლებს. ყველა დაავადებას ე.წ. ქეცს ეძახიან და თვითონ მკურნალობენ, რაც საგანგაშოა. უფრო ბოლო დროს ისწავლა ხალხმა ცხოველის მოვლა და გაფრთხილება. უფრო მეტი აკითხავს ვეტერინარულ კლინიკებს და თვითმკურნალობას აღარ ეწევიან“, – აღნიშნავს გურგენიძე.

პრობლემას კიდევ უფრო ართულებს მაწანწალა ქუჩის ძაღლების სიმრავლე, რომელთა საკითხის გადაჭრა ამ დრომდე ვერ მოხერხდა, თუმცა, ცნობილია, რომ კახეთში ძაღლების თავშესაფრის მშენებლობა იგეგმება და საამისოდ მუნიციპალიტეტების ნაწილმა თანხები უკვე გამოყო.

ილია მარტყოფლიშვილი

არის თუ არა ადგილობრივი ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული?!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო. საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს.

13 მარტის სხდომაზე საკრებულომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტის მერს თანხმობა მისცა, რათა ხელი მოაწეროს „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ ჯგუფური მიერთების ფორმაზე, რომელიც გარემოსდაცითი ღონისძიებების ეფექტურობის გაზრდას ისახავს მიზნად.

ამ დღესვე, საკრებულომ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს კანონის 31-ე -35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უფლებამოსილების მინიჭებისა და საჯარიმო ქვითრის -ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების , წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ”, 2017 წლის 18 აგვისტოს „№23 დადგენილება გამოაცხადდა ძალადაკარგულად და ახალი დადგენილება მიიღო.

როგორც სხდომაზე დედოფლისწყაროს მერიის იურისტმა გოგი გონაშვილმა განმარტა, „მუნიციპალიტეტს ამიერიდან ექნება კანონით მინიჭებული უფლება, რომ სამართალდამრღვევს შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელები. გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმის სახით სხვადასხვა თანხა იქნება გათვალისწინებული. მოყოლებული 2 კგ-მდე ნარჩენიდან, რომლის ჯარიმა 80 ლარით განისაზღვრება, არსებობს ნარჩენების სხვადასხვა კატეგორია, მაგ. სახიფათო ნარჩენები, რომლითაც გარემოს დაბინძურება 1500 ლარიანი საჯარიმო სანქციით განისაზღვრება. ამ წესით მერიის ერთ-ერთ სამსახურს ვაძლევთ უფლებამოსილებას, რომ ადგილზე მოახდინონ რეაგირება, გამოიყენონ საჯარიმო სანქციები. ამ წესის შესაბამისად, სამართალდარღვევის საქმის წარმოების უფლებამოსილება მიენიჭათ მერიის ზედამხედველობის სამსახურსა და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულში“ – განაცხადა გოგი გონაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ასევე მოისმინეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 12 თვის შესრულების ანგარიში. აღნიშნული ანგარიში საკრებულომ დადებითად შეაფასა.

ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შესახებ თავისი მოსაზრება დააფიქსირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შეფასება–„დამაკმაყოფილებელი“ არ შეესაბამება რეალობას. მან თავისი აზრი სახელმწიფო აუდიტის დასკვნით გაამყარა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ნაშთი, რომელიც, დაახლოებით, 2 მილიონ ლარს შეადგენს, შეიძლებოდა მოსახლეობის კეთილდღეობას მოხმარებოდა.

მის შენიშვნას თავისი არგუმენტი დაუპირისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა და ბრალდება გააქარწყლა: „ჩვენი მუნიციპალიტეტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მიწაზე ქონების გადასახადი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, შემოდის 15 ნოემბრისთვის. ეს თანხა 3 მილიონ ლარს შეადგენს, მისი ათვისება თვენახევარში, უბრალოდ, შეუძლებელია.

ჩვენი ბიუჯეტი, ისედაც სოციალურად ორიენტირებულია, ყოველწლიურად ვცდილობთ, გავზარდოთ სოციალური პაკეტი. თვალსაჩინოებისათვის შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, სოციალური პაკეტი კვლავ გაიზარდა 20 000 ლარით, ასევე დედოფლისწყარო ლიდერია მთელი კახეთის მასშტაბით სათნოების სახლის დაფინანსების კუთხით... ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთა და სოციალურად დაუცველთა ჯანდაცვის ხარჯები

ჩვენი ბიუჯეტი, ისედაც სოციალურად ორიენტირებულია, ყოველწლიურად ვცდილობთ, გავზარდოთ სოციალური პაკეტი. თვალსაჩინოებისათვის შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, სოციალური პაკეტი კვლავ გაიზარდა 20 000 ლარით, ასევე დედოფლისწყარო ლიდერია მთელი კახეთის მასშტაბით სათნოების სახლის დაფინანსების კუთხით... ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთა და სოციალურად დაუცველთა ჯანდაცვის ხარჯები, სოციალურ პაკეტს დაემატა 4 პროგრამა, რომელმაც მეტ ადამიანს მისცა საშუალება, ესარგებლა ბევრი სიკეთით, საბავშვო ბაღების დაფინანსება 5 წლის მანძილზე 400 000 ლარიდან 1 600 000 ლარამდე გაიზარდა, 2017 წელს ინფრასტრუქტურული პროექტები რეკორდულად გაიზარდა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 200 000 ლარი დაიხარჯა. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები მთელი წლის მანძილზე ეტაპობრივად იხარჯება, ასე რომ ,ე. წ. „ნაშთი“ ისევ მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება მომავალი წლის მანძილზე, ის არსად იკარგება“ – აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი

ევროკავშირის პროგრამას — „მერების შეთანხმება - აღმოსავლეთი“ დედოფლისწყაროც შეუერთდა

15 მარტს კახეთის რეგიონის 7 მუნიციპალიტეტეტის მერია შეუერთდა ევროკავშირის პროგრამას – „მერების შეთანხმება - აღმოსავლეთი“.

2014 წლიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია აღნიშნულ პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, ჩვენს მუნიციპალიტეტში მოხდა მნიშვნელოვანი ენერგოეფექტური პროექტების განხორციელება. 2018 წლის 15 მარტიდან კი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის კოორდინირებით, „მერების შეთანხმების“ პროგრამას კახეთის ყველა მუნიციპალიტეტი შეუერთდა.

ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი ქ. თელავში ერეკლე მეფის სასახლის საელჩო დარბაზში გაიმართა. ღონისძიებას უძღვებოდა ა(ა)იპ „კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო“-ს აღმასრულებელი დირექტორი - მალხაზ ჭრელაშვილი. ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: საქართველოში ევროკაშირის დელეგაციის წარმომადგენლები: ვინსეტ რეი, მაქსიმ ვერეშჩაკი, ასევე „მერების შეთანხმების“ პროგრამის ექსპერტი საქართველოსა და აზრებაიჯანში - გიორგი აბულაშვილი. აუდიტორიას სიტყვით მიმართა კახეთის სახლმწიფო რწმუნებულმა - გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, მან მისასალმებელ სიტყვაში აქცენტები გააკეთა ყველა იმ სიკეთეზე, რასაც აღნიშნულ პროგრამაში ჩართულობა მოუტანს კახეთის რეგიონს. „დღეს ევროკავშირის ფართომასშტაბიან ინიციატივას - მერების შეთანხმებას უერთდება კახეთის 7 მუნიციპალიტეტი, მერების შეთანხმება აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიების გამოყენება. ამ პროგრამაში ჩართულობით შესაძლებელი გახდება კლიმატის ცვლილების შედეგად მოსალოდნელი ეფექტების შერბილება, ადამიანის ადაპტირება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან და თანამედროვე, ალტერნატიული ენერგიის წარმოებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა“.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა - ვინსეტ რეიმ პროგრამაში ჩართვის შესახებ დამადასტურებელი სერთიფიკატები გადასცა.

დედოფლისწყაროს ფერმაში მწყემსი დაჭრეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ფერმაში ორ მწყემსს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად ერთ-ერთი მათგანი – 43 წლის მამაკაცი დაიჭრა. მას ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა მხრის არეში აქვს მიყენებული. ეჭვმიტანილი ამბობს, რომ იარაღიდან ტყვია სრულიად შემთხვევით გაუვარდა და მამაკაცისთვის სროლას არ აპირებდა. ის კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ მომხდარი მათ საქმიანობას უკავშირდება.

მწყემსები, რომელთა შორისაც დაპირისპირება მოხდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოდან, ეთნიკურად აზერბაიჯანული ეროვნების არიან. დაშავებული თავდაპირველად დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში, შემდეგ კი თბილისში, სპეციალიზებულ კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგი-ანესთეზიოლოგი **ვასილ გონაშვილი** ამბობს, პირველადი დახმარება პაციენტს ადგილზე აღმოუჩინეს და სისხლდენა შეუჩერეს, თუმცა მისი დედაქალაქში გადაყვანის აუცილებლობა მაინც დადგა.

„ჩვენთან შემოყვანილ პაციენტს აღენიშნებოდა მარჯვენა მხრის ქვემო მესამედში და იდაყვის სახსრის არეში დიდი ზომის დაზიანება. ცეცხლნასროლ ჭრილობაში ჩანდა სისხლძარღვების, მყესების და კუნთების დაზიანება. დაუყოვნებლივ ჩაუტარდა ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება. ჩართული იყო მკურნალობა ჰემოსტატიკური საშუალებებით, ანალგეტიკები. ჩატარდა ჭრილობის ჰემოსტაზი, რაც სისხლის დინების შეჩერებას გულისხმობს. დაედო თაბაშირის ნახვევი. რთული მდგომარეობიდან გამომდინარე მივიჩნიეთ, რომ პაციენტი საჭიროებდა მკურნალობის გაგრძელებას სპეციალიზირებულ კლინიკაში. ამიტომ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა მამაკაცი თბილისში გადაიყვანა,“ – აღნიშნავს ვასილ გონაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მამაკაცმა თანასოფლელს სანადირო თოფიდან ესროლა. უწყების ცნობით, ეჭვმიტანილის ვინაობა ოპერატიულად დადგინდა. ის შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა და სამართალდამცავებმა უკვე გამოკითხეს. შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოღებულია, შსს-ს ცნობით, ბრალდებული გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ შემთხვევით გაისროლა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აღნიშნავენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ილია მარტყოფლიშვილი

„თუ რამეს მიზნად დაისახავ, მას ბოლომდე უნდა მიჰყვე“...

ვაგრძელებთ რუბრიკას „ქართველები საზღვარგარეთ“. ამჯერად ჩვენი რუბრიკის სტუმარია ამერიკაში, ატლანტის შტატში მცხოვრები **გიორგი ყოჩიაშვილი**. გიორგი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა, მისი მშობლები ნონა ქადაგიძე და დავით ყოჩიაშვილი ჩვენი მაცხოვრებლები არიან. ისინი შვილის საუკეთესოდ აღზრდისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. დღეს გიორგი ამერიკაში ცხოვრობს. მან ჯერ თბილისის კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლა დაამთავრა ორმაგი ხარისხის დიპლომით – DUAI ფინანსები, (2009-11წ), შემდეგ სწავლა გააგრძელა ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რობინსონის ბიზნეს სკოლაში. ფინანსების განხრით (2011-2013), 2016 წელს ჩააბარა ჯორჯიის ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურაში კომპიუტერული მეცნიერების განხრით. ამჟამად გიორგი ყოჩიაშვილი მუშაობს ემორსის უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის ანალიტიკის და აპლიკაციების დეველოპერად. მკითხველს გავაცნობთ ამერიკაში მოღვაწე ქართველ ახალგაზრდას, რომელმაც მცირე პერიოდში საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია ოკეანის გაღმა სახელმწიფოში.

– გიორგი, როგორ გაიხსენებდით დედოფლისწყაროში გატარებულ ბავშვობის წლებს?

– დედოფლისწყაროში დავიბადე და მანდვე გავატარე მთელი ჩემი ბავშვობა. ჩემი მშობლები სასურსათო მაღაზიის მფლობელები არიან დედოფლისწყაროში. მამას ასევე აქვს მეფუტკრეობის მეურნეობა. მათ ყველაფერი გააკეთეს ჩემი წარმატებული სწავლისთვის. ძალიან ტკბილად მახსენდება მშობლიურ სახლში გატარებული წლები.

– მოკლედ თქვენი სკოლის შემდგომი წლების შესახებ?

– დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა დავამთავრე 2009წელს და იმავე წელს ჩავირიცხე კავკასიის ბიზნეს სკოლაში ორმაგ ხარისხზე. 2011 წელს წავედი შეერთებულ შტატებში (ატლანტა, ჯორჯია) და ჩავაბარე ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ფინანსების განხრით. 2011 წლიდან ვცხოვრობ ატლანტაში და ვმუშაობ ემორსის უნივერსიტეტში მონაცემთა ბაზის დეველოპერად.

– რას ყვებიან ამერიკაში ქართველებზე, იციან ჩვენი ქვეყნის შესახებ?

– აქ ბევრმა არ იცის საქართველოს შესახებ და თუ ვინმემ იცის, ისიც ჰგონიათ, რომ რუსეთის ნაწილია. ზოგმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიტყო საქართველოს შესახებ.

– ამბობენ, რომ ამერიკა არის თავისუფლების ქვეყანა, სადაც ადამიანი და მისი უფლებები მაქსიმალურადაა დაცული.

– მე, ზოგადად, არ მგონია, რომ ადამიანმა ოდესმე მაქსიმალურად იგრძნოს თავი სადმე დაცულად, მაგრამ დავეთანხმები იმას, რომ ამერიკაში ადამიანის უსაფრთხოებას და თავისუფლებას დიდი ყურადღება ეთმობა.

– საინტერესოა, როგორია სწავლის სისტემა ამერიკაში?

– სკოლებში არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დონე ძალიან მაღალია. აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას ლექტორსა და სტუდენტებს შორის. ასევე ტესტირების და გამოცდების დროს.

– თქვენი დღევანდელი საქმიანობა და სამომავლო გეგმები.

– დაახლოებით 5 წელია, ვმუშაობ ემორის უნივერსიტეტში მონაცემთა ბაზის ანალიტიკოსად და ასევე ვსწავლობ მაგისტრატურაზე კომპიუტერულ მეცნიერებებს ჯორჯიის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

– ქართველები ამერიკაში იმიტომ გარბიან, რომ მათმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ ქვეყანაში, სადაც პიროვნება, მისი განათლება და ადამიანი დაფასებულია?

– არ მგონია, რომ თუ ვინმე ამერიკაში იბადება, მას უკვე წარმატება გარანტირებული აქვს. ძალიან ბევრმა წარმატებულმა ამერიკელმა მსახიობმა, მომღერალმა თუ მეცნიერმა ასევე ძალიან რთულ პირობებში დაიწყო თავისი კარიერა და ბევრი მათგანი ცენტებზე მუშაობდა, რომ თავი ერჩინა. იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო, შრომა ნებისმიერ ქვეყანაში აუცილებელია.

– როგორ გახსენდებათ დედოფლისწყარო, აპირებთ თუ არა დაბრუნებას?

– დედოფლისწყარო ძალიან კარგად მახსენდება და დღე არ გავა, რომ არ გამახსენდეს. რა დროც არ უნდა გავიდეს, ის მაინც ჩემი მშობლიური ქალაქი იქნება.

– ოჯახი უკვე გაქვთ, თუ არა?

– არა, დასაოჯახებელი ვარ.

– როგორც ჩანს, მიზანდასახული ადამიანი ხართ, როგორ მიაღწიეთ მანდ წარმატებას, რა არის ამ მიზნების ასრულებისთვის საჭირო?

– ჩემი აზრით, თუ რამეს მიზნად დაისახავ, მას ბოლომდე უნდა მიჰყვე და სხვა დანარჩენი გვერდზე გადადო. მე ერთი ცდით არასდროს არაფრისთვის მიმიღწევია. როცა რამე მიზნად დამისახავს, მეტწილად, პირველი რამოდენიმე მცდელობა წარუმატებლად დამთავრებულა და ზოგჯერ წლებიც კი დამჭირვებია, რომ რაიმესთვის მიმეღწია.

– საქართველოში ახლა დედის და 8 მარტის დღეებს აღვნიშნავთ, როგორ აღნიშნავენ ამერიკაში 8 მარტს?

– საერთოდ, ამერიკაში 8 მარტს არ აღნიშნავენ. აქ მაისში ზეიმობენ უფრო აღნიშნავენ დედების დღეს. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით საქართველოში მყოფ ყველა მანდილოსანს 8 მარტი მივულოცო, ბედნიერება ვუსურვო ყველას. ქართველ ქალებს, ოდითგან დღემდე, დიდი მისია აკისრიათ, მინდა, რომ ქართველი ქალის სახელი მუდმივად იდგეს იმ სიმაღლეზე, როგორც ეკადრება ქალის ღირსებას.

– წარმატებები მინდა გისურვოთ.

– გმადლობთ, ასევე თქვენც და თქვენს გაზეთსაც.

ლალი მეხრიშვილი

ქართველი ემიგრანტის დღიური

ახალგაზრდა ასაკში ემიგრირება — ეს რა თქმა უნდა ნიშნავს საინტერესო გამოწვევებს და შესაძლებლობებს, რომ უკეთ მოეწყო ახალ ადგილზე, ვიდრე ეს შედარებით მაღალ ასაკში მოხერხდებოდა. მაგრამ ეს ასევე რთული გამოცდაა, რადგან ახალგაზრდას უხდება ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან გამოთხოვება, უცნობ გარემოში ინტეგრაცია არც თუ ისე ადვილი ამოცანაა.

ერთ-ერთი, ვინც გადაწყვიტა თავისი ცხოვრება შეეცვალა ჩვენი ყოფილი თანამემამულეა, სახელად ანა.

ამერიკული ოცნება

2000 წელს საქართველოში დავამთავრე ერთ-ერთი სპეც-სკოლა, სადაც მათემატიკურ საგნებთან ერთად სიღრმისეულად შეისწავლებოდა უცხო ენებიც. ვერ გადამეწყვიტა, თუ სად გამეგრძელებინა სწავლა. გადავწყვიტე ბედი ორი მიმართულებით მეცადა — ჩამებარებინა გამოცდები თსუ-ში და გამეგზავნა საბუთები აშშ-ს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ კი მიჩიგანის უნივერსიტეტში.

შედეგად კი გავხდი თსუ-ს სტუდენტი, მაგრამ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ოკეანის გაღმიდანაც დადებითი პასუხი მომივიდა. ბევრი ფიქრისა და ოჯახში ბჭობის შემდეგ, გამგზავრება გადავწყვიტე. თავდაპირველი გეგმა შემდეგნაირი გამოიყურებოდა — მესწავლა, ამეღო დიპლომი და უკან, საქართველოში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ცხოვრება სულ სხვაგვარად აეწყო.

ჩამოსვლისთანავე დავსახლდი (და ახლაც ვცხოვრობ) ქალაქ ანნ-ჰარბორში, სადაც მიჩიგანის უნივერსიტეტი მდებარეობს. თავიდან საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, ხოლო როცა სამსახური დავიწყე — ბინა ვიქირავე. დავამთავრე ბაკალავრიატი ფინანსური ანალიტიკოსის დიპლომით და მაშინვე მუშაობა დავიწყე. დამქირავებელმა სამუშაო ვიზაზე იზრუნა. „გრინ-ქარდი“და შემდეგ მოქალაქეობა უპრობლემოდ მივიღე ჩემი სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე.

ბოლო კურსზე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, ისიც საქართველოდანაა, სწავლობდა სხვა ფაკულტეტზე, ამჟამად პროგრამისტად მუშაობს. დაოჯახების შემდეგ ვიყიდეთ სახლი, გვეზრდება 6 წლის გოგონა.

ქალაქი

ქალაქი ანნ-ჰარბორი ძალიან ინტერნაციონალური და მულტიკულტურულია, რადგანაც აქ ძირითადად სტუდენტები ცხოვრობენ. მოსახლეობა 120 000 ადამიანია. ქალაქი ძალიან ლიბერალურია, არ არსებობს ეროვნული და რასობრივი ხასიათის შეზღუდვა, დამოკიდებულება ყველას მიმართ ერთგვაროვანია. მოსახლეობის დიდი ნაწილი პროგრამისტები და ინჟინრები არიან — აქ Google-ს ოფისი მდებარეობს, აქვეა Toyota-ს ტექნოლოგიური ცენტრიც. ქალაქი, ასევე მთელი მეგაპოლისი (დეტროიტის გარშემო უამრავი პატარა ქალაქია) მკვეთრად სეგრეგირებულია — მაგალითად, ჩვენს რაიონში თითქმის არ ცხოვრობენ აფრო-ამერიკელები, ასევე არის უბნები, სადაც თეთრი მოსახლეობა თითქმის არ სახლობს.

სამუდამო იპოთეკა

ცნობილია, რომ ამერიკაში ოჯახების უმეტესობა არჩევს არა ბინის, არამედ კერძო სახლის შეძენას. ფასები ძლიერ დიფერენცირებულია, საშუალოდ სახლის ფასი 225 000 დოლარია. საშუალო კლასის ოჯახი სახლის ყიდვაში დაახლოებით 350-400 ათას დოლარს იხდის, სახლის ფართი 250 კვ. მეტრამდეა. შემოსავალი თითო დასაქმებულზე დაახლოებით 65 000 დოლარს შეადგენს.

ჩვენი სახლი 500 000 დოლარი დაჯდა, მაგრამ ის საშუალოზე ოდნავ მეტი დონისაა, ფართიც დიდია — 300 კვ.მ. იპოთეკა უკვე დავფარეთ, თუმცა, როგორც წესი, აქ არ ჩქარობენ ბანკის ვალის დაფარვას, ცდილობენ საპენსიო ასაკისთვის მორჩნენ გადახდას და გათავისუფლდნენ მსხვილი ხარჯებისგან.

უძრავი ქონების წლიური გადასახადი 3000-5000 დოლარს შეადგენს.

კვება და გართობა

ჩვენს ქალაქში, კვირაში ორჯერ (ოთხშაბათს და შაბათს) იმართება ადგილობრივი ნაწარმის ბაზრობა, სადაც შესაძლებელია ფერმერული მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ყიდვა.

სუპერმარკეტების არჩევანი ძალიან დიდია, არის იაფიც და ძვირიც. ასევე მაღაზიები ვეგეტარიანელებისთვის. ჩვენ ვცდილობთ ვიყიდოთ იქ, სადაც ბიო პროდუქცია ჭარბობს, რა თქმა უნდა ეს შედარებით ძვირია, მაგრამ ხარისხიც ძლიერ განსხვავდება.

საკვები პროდუქტის შესაძენად კვირაში ერთხელ დავდივართ და ყოველ ჯერზე ვხარჯავთ 150-200 დოლარს.

ამერიკული ოჯახი

შტატებში უფრო გვიან ქორწინდებიან და აჩენენ ბავშვებს, ვიდრე საქართველოში. ადამიანებს სურვილი აქვთ ჯერ სამსახური დაიწყონ, შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება და მხოლოდ ამის მერე იფიქრონ სერიოზულ ურთიერთობებზე. 25 წლამდე სწავლა, შემდეგ კარიერა. 30 წლისთვის ყიდულობენ სახლს, ქმნიან ოჯახებს და გარკვეული დრო ბავშვების გარეშე, „თავისთვის“ ცხოვრობენ. შედეგად, პირველი ბავშვი ოჯახში უმეტესწილად მაშინ იბადება, როცა მშობლების ასაკი 30 + არის.

დეკრეტული შვებულება მაქსიმუმ 3 თვე გრძელდება, ამის შემდეგ ორი გამოსავალია, ან ძიძის დაქირავება (რაც ძვირი სიამოვნებაა), ან ბაგა-ბაღი. ეს უკანასკნელი გამოსავალი ოჯახების უმეტესობისთვის მისაღებია.

ბაგა-ბაღის საფასურია 200 დოლარი კვირაში. ძიძის დაქირავება კი — 450-500 დოლარია.

ბავშვებს დაწყებით კლასში არაფერს არ ასწავლიან, არ გამოიყენება არც წიგნები, არც რვეულები. აქცენტი გადატანილია სახლში დამოუკიდებელ მეცადინეობაზე, რომელშიც მშობლები იღებენ მონაწილეობას. თუმცა ესეც ნებაყოფლობითია. სწავლა დაწყებით კლასში უფასოა.

„ნული“ კლასის შემდეგ არის არჩევანის საშუალება — უფასო ან კერძო სკოლა. არის ასევე ე.წ. Charter, სადაც სწავლის საფასურს ქველმოქმედები ფარავენ. ჩვენ ალბათ ჯერ უფასო სკოლაში ვცდით, მაგრამ აუცილებლად სპეც-კლასში და კარგი პროგრამით. თუ ჩვენი გოგონა მისაღებ ტესტებს ვერ დაძლევს, მაშინ უკვე მოგვიწევს კერძო სკოლაზე ფიქრი.

სახელმწიფო უფასო სკოლები ყოველთვის ცუდი ალტერნატივა არ არის. მათ აქვთ თავიანთი რეიტინგები და ოჯახს შეუძლია მათთვის სასურველ სკოლაში შვილის გადაყვანა მოთხოვნის საფუძველზე. სახელმწიფო სკოლის შემდეგ, მოზარდს უპრობლემოდ შეუძლია პრესტიჟულ უნივერსიტეტში მოხვედრა.

კერძო სკოლაში სწავლა არც თუ იაფი ჯდება. Cranbrook School, რომელიც შევათვალიერეთ ჩვენი გოგონასთვის, იმ შემთხვევაში თუ იგი ვერ მოხვდება სახელმწიფო სკოლაში, 1-5 კლასის საფასური წელიწადში 25 500 დოლარი, მე-6 დან მე-8 მდე 28 100 დოლარი, მე-9 დან მე-12 მდე კი 33 100 დოლარია (ან 45 200 დოლარი ცხოვრებით და კვებით). ფასები, როგორც ხედავთ ძვირია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა შტატში.

მკურნალობა, სამედიცინო დაზღვევა

Obama Care — კანონამდე, მთელ ოჯახს მეუღლის სამსახურიდან უფასო სამედიცინო დაზღვევა გვქონდა, კანონის მიღების შემდეგ კი თვეში 500 დოლარს ვიხდიდით ოჯახის ყველა წევრზე და ეს არ ფარავდა ყველა შემთხვევას. ახალი პრეზიდენტის, ტრამპის მოსვლის შემდეგ აღდგა სამსახურებრივი დაზღვევის წესი.

მშობიაობა 15 000-20 000 დოლარი ჯდება, აქედან ჩვენი წილი 3 000 დოლარია.

საავადმყოფოები უმაღლესი კლასისაა, პერსონალი ძალიან კეთილგანწყობილი — მედდები თითქოს თითოეულ სიტყვას არჩევენ, რომ პაციენტმა კომფორტულად იგრძნოს თავის. პალატები ძირითადად ერთადგილიანია.

დასვენება

ზაფხული მიჩიგანის შტატში. ძალიან თბილა. არის ბევრი ლამაზი ადგილი, სადაც შეიძლება დასვენება. ჩვენს შტატს „ათასი ტბის“ შტატს ეძახიან და ეს სიმართლეა. ულამაზესი ხედები, სასტუმროების დიდი არჩევანი და შეღავათები ძალიან მიმზიდველს ხდის აქ დასვენებას. ასე რომ, ჩვენ როგორც „ნამდვილი ამერიკელები“ ხელს ვუწყობთ მშობლიური შტატის ეკონომიკას და უმეტესწილად აქ ვისვენებთ ხოლმე.

ზამთარში უახლოესი კურორტებია — კარიბის კუნძულები, დომინიკანური რესპუბლიკა და მექსიკა. პირდაპირი რეისები მაქსიმუმ 5 საათს გრძელდება, საგზურები კი ყველა ხარჯს მოიცავს.

ამერიკის ღირსშესანიშნაობები განსხვავდება ევროპულისგან — ევროპაში აქცენტი მუზეუმებზე და ძეგლებზე გაკეთებული, აშშ-ში კი — პეიზაჟები და ბუნებაა დომინანტი.

საქართველო

ჩემი ოჯახი საქართველოში ცხოვრობს. მყავს ერთი ძმა, რომელიც ფიქრობს საზღვარგარეთ გადასვლაზე. წელიწადში ერთხელ მივფრინავთ საქართველოში ახლობლების მოსანახულებლად. გზა დიდხანს გრძელდება და დამღლელია, თუმცა ეს ამად ღირს. ოჯახის მონახულება და ძველი, მონატრებული ადგილები ახალი ენერგიით გვავსებს ხოლმე. თუმცა, არ მგონია როდისმე დავბრუნდეთ საქართველოში. შესაძლოა სამსახურებრივი შემოთავაზების შემთხვევაში დროებით სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ სამუდამოდ — აღარ.

ჩვენ უკვე ოჯახით დავმკვიდრდით ამერიკაში, მოვაწყვეთ ცხოვრება, დავსახეთ გეგმები და კარდინალური ცვლილებების სურვილიც აღარ გვაქვს.

ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი — არა ძალადობას!..

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში მიგვიწვიეს. IVბ კლასის პედაგოგმა მარინა ინასარიძემ თავის სადამრიგებლო კლასში კლასის საათი ჩაატარა -„არა ძალადობას“. ქალბატონი მარინა ის პედაგოგია, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ქვეყანაში არსებულ მოვლენათა რეალობას და არასდროს გამოტოვებს მთავარ და უმნიშვნელოვანეს საკითხებს თავის მოსწავლეებთან. არ ვიქნები სუბიექტური, თუ ვიტყვი, რომ, დიდი ხანია, ასეთი ძლიერი და ერთმანეთზე ნიჭიერი ბავშვი ერთად თავმოყრილი არ მინახავს.

მარინა მასწავლებელმა დასაწყისშივე განმარტა, რომ ცოტა უჩვეულო გაკვეთილი გველოდა წინ. გაზაფხულის დღესასწაულები და ბავშვებზე ძალადობის თემა პედაგოგს საინტერესოდ და ორიგინალურად ჰქონდა შერწყმული, მასში პოზიტივი ნეგატივს ბევრად სჭარბობდა, ბავშვებმაც თითქმის ბოლომდე გაიაზრეს ნაამბობისა და ნანახის შინაარსი.

თავდაპირველად ვნახეთ ვიდეორგოლი, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინ ინტერნეტსივრცეში გასულ, ყველასთვის კარგად ნაცნობ სიუჟეტს ასახავდა, როდესაც მამა 3-4 წლის ბავშვს სიგარეტის მოწევას ასწავლის. ამის შემდეგ გაიმართა დიალოგი მოსწავლეებსა და პედაგოგს შორის, აღმოჩენილა თუ არა რომელიმე მათგანი მსგავს სიტუაციაში როდისმე. ბავშვების გულწრფელმა და გულუბრყვილო ნაამბობებმა, ძალიან მხიარული და სასიამოვნო გარემო შექმნა აუდიტორიაში. დავინახეთ მათი მხრიდან დიდი ნდობა უფროსების მიმართ, დიდი პატივისცემა და სიყვარული კლასის დამრიგებლისადმი. მე, მაგალითად, განსხვავებული თვალით დავინახე, როგორც საკუთარი შვილი, ისე თითოეული მისი მეგობარი. დავრწმუნდი, რომ ისინი არც მოძალადეები გახდებიან ოდესმე და არც ძალადობის მსხვერპლები, იმდენი სიკეთე და გონიერება დევს მათში. დიახ, როდესაც ჩვენს მოსწავლეებს და შვილებს ასე პატარა ასაკშივე ავუხსნით და მივაჩვევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს, აქედანვე ვასწავლით და ჩავუნერგავთ ქუჩის ცხოვრების მანკიერებას, ბოროტებასა და სიკეთეს შორის სხვაობას, შეუძლებელია, ეს სულ ცოტა ხანში ჩვევაში არ გადაეზარდოთ. კლასის საათზე სკოლის ექიმმა შორენა ღვინიაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ბავშვებს ცხოვრების ჯანსაღი წესების შესახებ ინფორმაცია და იმედი დაიტოვა, რომ ისინი არასოდეს დაარღვევენ ამ მათთვის სასარგებლო წესჩვეულებებს. რადგან კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ბავშვები, რომ სწორად და ჯანსაღად აღზრდილი თაობები ჩვენი ქვეყნის მომავალი წინსვლის უალტერნატივო ძალაა, პედაგოგის გადაწყვეტილებით, კლასის ბიჭებმა გოგონებს დაუმზადეს სურვილებითა და თბილი სიტყვებით შევსებული მისალოცი ბარათები, გადასცეს სამახსოვრო სუვენირები და მოუწყეს მინი-კონცერტი. გთავაზობთ პატარა ამონარიდს იმ ვრცელი მიმართვებიდან: ჩვენო თანაკლასელო გოგონებო, ძალიან გვიყვარხართ, ჩვენ ხშირად გაბრაზებთ, ხან უნებურად, ხანაც ბუნებრივად, მაგრამ თქვენ ყოველთვის გესმით ჩვენი და ცდილობთ, ყოველთვის დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას, როდესაც გაწყენინებთ, მოხვალთ და გვეუბნებით „არაუშავსო“, ამიტომ, ჩვენც გვინდა, ისეთივე კარგი მეგობრები ვიყოთ, როგორც თქვენ ხართ ჩვენთვის, გვაპატიეთ, თუ ხანდახან ვერ ვხვდებით და ვერ ვიქცევით სწორად. გვიხარია, რომ საამაყო გოგონები გვყავხართ და ამიტომ, გვეამაყებით და გვიყვარხართ“. ამ სიტყვებს ბავშვები ისე თბილად წარმოთქვამდნენ, ცრემლი მოგვერია, რამდენი სიყვარული და სითბოა ამ ბავშვებში ჩაქსოვილი და რა ბედნიერებაა, როდესაც ამ ემოციას სწორი მიმართულებით წარმართავ. ბიჭების მისალოცი ბარათები და სიტყვიერი მიმართვები იმდენად მოულოდნელი საჩუქარი იყო გოგონებისთვის, რომ სიხარულის და აღტაცების ღიმილი არ შორდებოდათ სახიდან. დაინახა რა ბედნიერი და გაბრწყინებული ბავშვები მარინა მასწავლებელმა, სთხოვა მათ, ასეთივე ქმედება ჩაედინათ და მოულოდნელად გაეხარებინათ მათთვის ძვირფასი ადამიანები, რათა ერთმანეთი სიყვარულით ავავსოთ და ყოველდღიურად, დადებითი ემოციებით გავულამაზოთ ერთმანეთს ცხოვრებაო.

კლასის საათი ულამაზესი ცეკვებით და ხალხური სიმღერებით გაალამაზეს ბავშვებმა, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ლექსების თქმასა და სამშობლოს ხოტბაში, „მაგრამ დედა საქართველო ყველაფერზე ტკბილი არისო“ გვესმოდა სიტყვები და გული იმედით გვევსებოდა. მოსწავლე რომელიც, თუნდაც ერთი კლასის საათიდან ამდენ სასარგებლო და დადებით ინფორმაციას მიიღებს, რაც არასოდეს დაავიწყდება და სამუდამო კვალს ტოვებს მის გონებაში, როგორ შეიძლება ასეთ გარემოში აღზრდილმა ბავშვმა ხვალ გზიდან გადაუხვიოს და არ მოგვცეს ის შედეგი, რომელსაც თითოეული მშობელი თუ პედაგოგი ველოდებით მათგან.

კლასის საათზე გვესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი და სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი, მათ აღფრთოვანება და სიხრული ვერ დაფარეს ამ ღონისძიების მიმართ და მადლობა გადაუხადეს მარინა მასწავლებელს და მოსწავლეებს ასეთი ლამაზი და შირაარსიანი დღის ჩუქებისთვის.

ელზა ხარაშვილი

„გაზაფხულის საღამოა მთვარეული“...

მარტის თვე დასაწყისიდანვე დატვირთულია დღესასწაულებითა და ზეიმებით. კიდევ ერთი საზეიმო დღე გამართა მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელიც გაზაფხულს, ქალს და სიყვარულს ეძღვნებოდა. ღონისძიების ავტორი მუზეუმის სპეციალისტი თამარ ჯავაშვილი გახლდათ.მისი მხატვრულ-შემეცნებითი ხასიათის თემა, ძირითადად, ქართველ და უცხოელ პოეტთა მიერ ამ საკითხებზე შექმნილ ლექსებზე იყო აგებული. მან, პირველ რიგში, მოწვეულ სტუმრებს გაზაფხულის შემობრძანება და სიცოცხლის განახლება მიულოცა, ხოლო ქალბატონებს - დედის და ქალთა საერთაშორისო დღეები.

– სიმბოლურია, რომ დედის დღე გაზაფხულის დასასწყისშია, ერთიც და მეორეც ხომ სიცოცხლის საწყისია, – თქვა ქალბატონმა თამარმა და ლექსით გაამყარა თავისი ნათქვამი:

„არის სხვა წამიც, ღვთიური კრძალვის,
იგი ბუნების სხვა შედეგრია,
ერმა რომ ძუძუს წოვს,
ეოველი ქალი ღვთისმშობელივით ბედნიერიაო“,

და გააგრძელა: – მოვიდა გაზაფხული, მოვიდა თავისი სილამაზით, სიმშვენიერით, მოიტანა უამრავი ფერი, სიხარული, ბედნიერება, სიცოცხლის წყურვილი, სიყვარული, სიყვარული, რომელიც ყველა ერმა იცის კანის ფერის, მრწამსის თუ საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად, მაგრამ თავისებურად. სიყვარულის ახალ სათავეებს გასულ საუკუნეებში მსოფლიოს ეგზოტიკურ წერტილებში ეძებდნენ: ბაირონი – იორდანეს ნაპირებზე, მერიმე – ესპანეთში, პუშკინი – ბესარაბიელ ბოშათა შორის, სტენდალი – იტალიის ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, გოგენი – ტაიტიზე, ხოლო ლერმონტოვის დემონმა კავკასიას მიაშურა. ჩვენ, ქართველები, კი ასე გამოვხატავთ სიყვარულს:

„უკვდავებისა წუაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთან უოფნითამც გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითაო,“ - ან
„უსიუვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, მზე არ კრთება უსიუვარულოდ,
უსიუვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიუვარულოდ“.

შეუძლებელია, გაზაფხულსა და სიყვარულზე ისაუბრო და ქალსა და დედას არ დაუკავშირო იგი: დედა–ქალი, დედა–შემოქმედი, დედა–აღმზრდელი, მასწავლებელი, ექიმი, დედა გმირი, დედა – სათნო, თბილი ტკბილი, გულისხმიერი, ამაგდარი, დედა ყველაფერი ის, რასაც თვალი მისწვდება, ენა ამოსთქვამს, ყური გაიგონებს და გული ჩაიტევს, – თქვა ქალბატონმა თამარმა და ლექსის ალავერდს დარბაზთან გადავიდა. რადენიმე ლექსი მუზეუმის სპეციალისტმა ნინო პოპიაშვილმა წაიკითხა, მუზეუმი ასახელა ასევე დალი ბაღაშვილმა, რომელმაც დიდი კონსტატინე გამსახურდიასა და თინათინ ჯიქიას სასიყვარულო პაექრობაზე გაამახვილა ყურადღება და დამსწრეთ ორივე ლექსი მოასმენინა: კონსტანტინეს ცნობილი „ზღვისფერი გაქვს თვალები“... და თინათინის პასუხი – „ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები“... ჩვეული ოსტატობით მოხიბლეს მსმენელი კულტურის სახლის დირექტორმა და ახალგაზრდულ თეატრ „ბერიკონის“ რეჟისორმა ცარო მარტიაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლელა ბიღიაშვილმა. მათ ტოლი არ დაუდო ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა. დარბაზის აღმოჩენა იყო №1 საჯარო სკოლის ფიზიკაზრდის მასწავლებელი დალი ბენაშვილი, რომელსაც პოეზია სპორტზე არანაკლებ ჰყვარებია და მშვენიერი დეკლამატორიც ყოფილა. ქალს, სიყვარულსა და გაზაფხულს მიუძღვნეს არაერთი ლექსი ჩვენმა პოეტებმა თამაზ წიკლაურმა და ლევან ალავერდაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა კი ცხოვრების უკუღმართობით მიყენებული ტკივილები გულში ჩაიკლა და ქალბატონებს გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა.

და იყო მშვენიერი საღამო მსუმბუქი ლირიკული მუსიკის ფონზე, რომელმაც რომანტიკული სულით გააჯერა დარბაზი და ერთი სამახსოვრო დღე შემატა იქ მყოფთ.

რესურსცენტრის უფროსმა და დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრმა ეთერ დავითაშვილმა მადლობა გადაუხადა თამარ ჯავაშვილს და მუზეუმის თანამშრომლებს ლამაზი დღესასწაულისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, მერიის, საკრებულოს, კულტურის დარგის წარმომადგენლები და მოწვეული საპატიო სტუმრები.

ნაირა გორაშვილი

დატყვევებული ცხედრები

მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ, ადამიანები ხშირად ვაწყდებით ბარბაროსულ მეთოდებს- ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კვლავ ისე იტაცებენ ადამიანებს, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით (საკუთარ ტერიტორიაზევე), ანთავსებენ საპატიმროებში, შემდეგ კი გარკვეული გასამრჯელოს საფასურად ათავისუფლებენ. რა თქმა უნდა, ყველა ხვდება, რომ მიზანი ერთია და „დიადი“ – რუსეთის მიერ საკუთარი ძალის დემონსტრირება და არა დამნაშავის დასჯა, ისევე, როგორც საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებთან გავლებული გამყოფი ხაზი მოსახლეობის დასაშინებელი იარაღია და არა კანონის აღსრულება...

ცოცხალი ადამიანების დაპატიმრება არ ახალია, ძველია, მაგრამ რუსეთი რისი „ძლევამოსილი“ ქვეყანა იქნებოდა, ინოვაციური მეთოდებით მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთხელ რომ არ გაეოცებინა. ამიტომ, მათ ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, წამებით მოკლული ქართველის ცხედრის დაპატიმრებაც გადაწყვიტეს. არჩილ ტატუნაშვილი რომ პატრიოტული სულისკვეთების აღმოჩნდა, ამას როგორ აიტანდნენ ერთმორწმუნე რუსი გენერლები და მათი ლაქიები. დაპატიმრების მიზეზიც ხომ ცნობილი იყო-2008 წლის ომში მონაწილეობისა და დივერსიის მოწყობის გეგმის შემუშავება. ცხინვალის ციხეში ის ცემითა და წამებით მოკლეს. თუმცა, სეპარატისტული რეჟიმის დღემდე ამტკიცებს, რომ სიკვდილის მიზეზი გულის უკმარისობა გახდა. საქართველოს ხელისუფლება გარდაცვლილი ტატუნაშვილის დაუყოვნებლივ გადმოსვენებას მოითხოვს, თუმცა დე ფაქტო ხელისუფლება იმიზეზებს, რომ ექსპერტიზაა ჩასატარებელი... ამ უსაგნო არგუმენტების ფონზე დრო გადის, ოჯახი კი საკუთარ გარდაცვლილს ითხოვს, რათა მიცვალებულის დატირება და დაკრძალვა შეძლოს... სეპარატისტულ ხელისუფლებას კი არაფრად მიაჩნია არც მიცვალებულის უფლებები და არც დედის ცრემლები... რას ვიზამთ, მოსკოვს ხომ ცრემლების ისედაც არ სჯერა...მთავარია, გარდაცვლილის სხეული ისეთ კონდიციამდე მივიდეს, რომ წამების კვალი წაიშალოს...

თუმცა ქართული მხარისთვის ტატუნაშვილის მაგალითი პირველი არ არის, დატყვევებული ცხედრების პრეცედენტი ჯერ კიდევ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ შეიქმნა, როცა ოსური თუ რუსული მხარე (თუმცა, ისინი ვინ გაყო), საქართველოს მიცვალებულებს არ ატანდა. მაშინ ეს პრობლემა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოხსნა, რომელიც რამდენიმე მღვდელმსახურთან ერთად უშუალოდ ჩავიდა ოკუპირებული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე და ომის გმირები საქართველოში გადმოასვენა.

ვის და როდის გამოატანენ ახლა წამებით მოკლული კიდევ ერთი ქართველის ცხედარს, ჯერ-ჯერობით უცნობია. მანამდე კი, საქართველოს მთავრობის მეთაურის მიმართვაც რჩება „ქვად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

ინგა შიოლაშვილი

„მოწამლული ფულის გემო“ – რა ბედი ელით რუს მილიარდერებს და მათ ბიზნესებს დიდ ბრიტანეთში?

ნივთიერება, რომლითაც რუსეთის დაზვერვის სამსახურის ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალი მოწამლეს, მისი ქალიშვილის იულიას სამგზავრო ჩანთაში ინახებოდა. ამის შესახებ გამოცემა „ტელეგრაფს“ სპეცსამსახურებში საკუთარმა წყაროებმა აცნობეს.

მათი მტკიცებით, ნივთიერება ჩანთაში იყო დამალული, ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით გაჟღენთილი შესაძლოა ყოფილიყო იულიას ტანსაცმელი, საჩუქრები ან კოსმეტიკა.

სერგეი და იულია სკრიპალები 4 მარტს, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრთან გონებაშეკარგულ მდგომარეობაში აღმოაჩინეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით მოიწამლნენ.

2006 წელს მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლომ სერგეი სკრიპალს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობისას 1990-იან წლებში სკრიპალი ბრიტანულმა დაზვერვამ გადაიბირა და ის ოფიციალურ ლონდონს სახელმწიფო საიდუმლოს შემცველ ინფორმაციას გადასცემდა.

2010 წელს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სკრიპალი და ჯაშუშობისთვის გასამართლებული კიდევ ორი პირი შეიწყალა და აშშ-ში დაკავებულ 10 ადამიანზე გაცვალა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ რუსეთს გრუ-ს ექს-პოლკოვნიკ სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მოწამვლა ოფიციალურად დააბრალა.

— ახლა ცხადია, რომ ბატონი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლეს იმ ტიპის საბრძოლო ნერვიულ-პარალიტიკური ნივთიერებით, რომელიც რუსეთში იწარმოება, — განაცხადა მან პარლამენტის თემთა პალატაში გამოსვლისას.

ტერეზა მეიმ სკრიპალის მოწამვლას უწოდა რუსეთის უპასუხისმგებლო ქმედება დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ.

ყოველდღიური განცხადებების კვალდაკვალ, რომელიც ბრიტანელი და რუსი მაღალჩინოსნებისგან ბოლო დღეებია ისმის, ვითარება თანდათან იძაბება. ლონდონის გარშემო მთელი დასავლეთი შეიკრიბა, თუმცა, რუსეთი, როგორც სჩვევია, იხტიბარს არ იტეხს და ბრიტანეთს პასუხით ემუქრება... ვისი ინტერესები უფრო დაზარალდება, ამაზე ექსპერტებს ცალსახა პასუხი აქვთ - რუსეთის.

ისინი დაპირისპირებას ეკონომიკურ ჭრილში განიხილავენ და ლონდონი-მოსკოვის პოლიტიკური კრიზისის ფონზე, მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებზე მსჯელობენ; ანალიტიკოსების თქმით, შესაძლოა, საქმე ისე შორს წავიდეს, რომ ბრიტანეთში რუსული აქტივები დაიბლოკოს.

ბრიტანეთში რუსული ელიტის სიმდიდრეზე მთელ მსოფლიოში ლეგენდები დადის. ყველაზე მდიდარი რუსები, რომლებიც ლონდონში ცხოვრობენ, რომან აბრამოვიჩი და ალიშერ უსმანოვი არიან, თუმცა კიდევ მრავლად არიან რუსი ოლიგარქები, რომლებსაც ლონდონი საკუთარ სახლად მიაჩნიათ. მათ შორის: ელენა ბატურინა, მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის 55 წლის მეუღლე, რომელსაც თითქმის 900 მილიონ ფუნტად შეფასებული ქონება აქვს; ანდრეი ანდრეევი - ყველაზე ახალგაზრდა რუსი ბიზნესმენი ლონდონში, რომელიც 44 წლის ასაკში 700 მილიონი ფუნტის ქონებას ფლობს და სხვები...

BBC-ის ინფორმაციით, საფეხბურთო კლუბ “არსენალის” თანამფლობელი ალიშერ უსმანოვია, რომელიც Forbes-ის რუსულ სიაში მეხუთე ადგილს იკავებს. საფეხბურთო კლუბ “ჩელსის” მფლობელი რომან აბრამოვიჩი, ამავე სიაში, მე-12 ადგილზეა, თუმცა, მისი ბიზნესი ბევრად ფართოა - ის ასევე არის მეტალურგიული კომპანია “ევრაზის” უმსხვილესი აქციონერი, რომლის შტაბ-ბინა ლონდონშია.

კიდევ ერთმა რუსმა ბიზნესმენმა მიხეილ ფრიდმანმა კი 2017 წელს ჯანსაღი კვების ბრიტანული ქსელი Holland & Barrett-ი იყიდა.

ანალიტიკოსები ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ლონდონის ბირჟაზე უმსხვილესი რუსული კომპანიების ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის შემცირებაზეც საუბრობენ. საუბარია, “გაზპრომზე”, “გაზპრომ ნეფტზე”, “როსნეფტზე”, “ლუკოილზე”, “ვითიბისა” და “სბერბანკზე;” ქაღალდებზე ფასების შემცირება, მათზე მოთხოვნის შემცირებამ განაპირობა. კომპანიები ფასის შემცირების შესაძლო ფაქტორებად გეოპოლიტიკურ რისკებს ასახელებენ.

განსხვავებული მოლოდინი აქვთ რუს სპეციალისტებს. “ურალსიბას” ეკონომისტი, ალექსეი დევიატოვი ამბობს, რომ რამდენიმე ბრიტანულმა კომპანიამ, შესაძლოა, რუსულთან თანამშრომლობაზე უარი თქვას, თუმცა ამას მასობრივი ხასიათი არ ექნება, რადგან “ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლო წლებში, ორ ქვეყანას შორის გამწვავებული ურთიერთობის კვალდაკვალ, ბიზნეს-ურთიერთობები ვითარდება. ასე რომ, რაღაც რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ...” - წერს ის.

თუმცა, რუსული მედიის ცნობით, “იმ რუსების ნევროზული მდგომარეობა, ვინც ბრიტანეთში ცხოვრობს და სამეფოში აქტივობები აქვს, ჯერ კიდევ ორ ქვეყანას შორის ვითარების გამწვავებამდე დაიწყო...”

საქმე ის არის, რომ 2017 წელს, დიდ ბრიტანეთში რუსი ბინადრების “ფინანსურ ქმედებებთან” დაკავშირებით, კანონი შეიცვალა - ბოლო დროს გახშირებული “გაუგებარი გამდიდრების” გამო, სამართალდამცავ ორგანოებს უფლება ჰქონდათ, იმ პირებთან, ვინც ძვირადღირებულ უძრავ ქონებას ფლობდა, გაერკვიათ ქონების წარმომავლობა, თუ როგორ და რა ვითარებაში შეიძინეს მათ ის. დარღვევის შემთხვევაში, ადგილობრივი ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს წაართვას მათ უძრავი ქონება.

ამ კანონს “გაუგებარს” უწოდებდნენ რუსები, რადგან ბოლომდე არ იყო გასაგები, თუ რა კრიტერიუმებით მტკიცდებოდა უძრავი ქონების უკანონო შეძენა და რა სახის დოკუმენტებით შეიძლებოდა მისი კანონიერების დამტკიცება... რუსების თქმით, ეს კითხვებს თავიდანვე აჩენდა.

ამ ყველაფრის შემდეგ კი, რა რისკების წინაშე მოუწევთ იმ რუსებს დადგომა, რომელთაც ბრიტანეთში აქტივობები აქვთ, ძნელი სათქმელია. ახლა ყველაფერი ბრიტანეთის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, - წერს რუსული მედია, რომლის ცნობითაც, რუსეთს, რომელიც მისგან წასული ადამიანების მოსაშორებლად ყველა ღონეს ხმარობს, ახლა მოუწევს “მოწამლული ფულის გემო” თავად გასინჯოს...

შირაქის სკივრი

1956 WLIS MARTI

● MERVE KLASIS MOSWAVLEEBI MARIAM ANTAURI DA QRISTINE BEQAURI TAVIAANT MSOBLEBS DIDI XANI EXVEWEBODNEN `NU CAMOGVASOREBT SKOLAS DA SWAVLAS, RVA KLASIS DAXURVAMDE COTA DRORA DAGVRCAO~, MAGRAM GAJIUTEBULI MSOBLEBI ARA CXREBODNEN DA SVILEBIS MUDARSADMIGULGRILNI DARCNEN. GOGONEBIS MAMEBS - IVANESA DA GIORGIS DIDI XANIA AURCEVIAT TAVIAANTVIS SASURVELI SASIZOEBI. VERC MASWAVLEBELTARCEVA DARIGEBEBMA DA AGITACIAM GASWRA. GULQVA MSOBLEBMA TAVIAANTI AR DAISALES, YOVELIVE DAIVIWYES, ARAD DAGIDVES KANONI SAYOVELTAO SAVALDEBULO GANATLEBIS SESAXEB DA SVILEBI SWAVLAS CAMOACILES. MSOBLEBI SABWOTA MOQALAQISTVIS SEUFEREBELI SAQCIELIS GAMO GAKICXVIS RIRSNI ARIAN, XOLO MARIAMI DA QRISTINE DROULAD UNDA DAUBRUNDNEN SKOLAS.

● UTUOD KARGIA, ROM WITLWYAROSI RAIONULI RADIOGADACEMEBI WARMOEBS, MAGRAM RATOMRAC ADGILOBRIVI RADIOKVANZI 7 SAATSA DA 40 WUTZE IWYEBS TRANSLACIAS. UFRO METIC, KVIRA DREEBSI IGI SULAC AR MUSAOBS DA DADUMEBULIA. ARADA CVENI QVEYNIS DEDAQALAQ TBILISIDAN RADIOGADACEMEBI IWYEBA DILIS 6 SAATIDAN. ERTGULI RADIOMSMENELEBI MOVITXOVT, ROM WITELWYAROS ADGILOBRIVMA RADIOKVANZMA DILIS 6 SAATZE DAIWYOS LAPARAKI.

● WITELWYAROS KOOPERATIVS MARQSIS QUCAZE AQVS PURIS SACXOBI, ROMELIC MZIME SAWVAVI MASALIT MUSAOBS. MAZUTIS WVIS SEDEGAD WAR MOSOBILI WVARTLI IRGVLIV EFINEBA, ANTISANITARIAS QMNIS AXLO MDEBARE SAKOLMEURNEO BAZARSI DA JANMRTELOBIS SASISROEBAS UQMNIS FURNIS IRGVLIV MACXOVREBLEBS. AM SAKITXZE RAMDENJERME MIVMARTET SATANADO ORGANOEBS, 1952 WELS DADGENILEBAC IQNA MIREBULI FURNES SXVA ADGILZE GADATANIS TAOBAZE, MAGRAM DADGENILEBAS AR ASRULEBEN. SAINTERESOA, RODIS DAKMAYOFILDEBA MOSAXLEOBIS SAMARTLIANI MOTXOVNA?

● AXALI WLIS PIRVELIVE DREEBIDAN OZAANELMA KOLMEURNEEBMA FARTOD GAACARES SOFLIS RADIOFICIREBIS SAMUSAOEBI. TVITOEULI KOLMEURNIS OJAXSI GAHYAVT INDIVIDUALURI RADIOQSELI. AXLAC OZAANSI GACXOVELEBIT MUSAOBEN. RATA SABWOTA KAVSIRIS KOMUNISTURI PARTIIS XX YRILOBIS GAXSNIS DRISATVIS YVELA OJAXSI LAPARAKOBDES RADIOREPRODUQTORI DA IQIDAN DIQTORISA TU MUSIKIS XMA IRVREBODES.

● MIUXEDAVAD IMISA, ROM DABA MIRZAANSI ARIS KLUBIS SENOBA, AQAURI MACXOVREBLEBI ISVIATAD XEDAVEN KINO SURATEBS. SAINTERESOA, RAIONIS KULTURIS GANYOFILEBA RODIS UZRUNVELYOFS MIRZAANEL MAYUREBELS KINOSURATEBIS SISTEMATIURI CVENEBIT.

● AM DREEBSI MUSAOBA DAIWYO SOF OZAANIS MALENKOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS ELEQTRO WISQVILMA, ROMELIC DRERAMESI 4000 KG MARCVALS FQVAVS. MOKLE XANSI AMOQMEDDEBA WISQVILIS MEORE QVA, ROMELIC PIRUTYVISTVIS SAWIRO SAKVEBS - SIMINDS, QERS DA WVAVS GADAAMUSAVEBS.

● AXALI SAFOSTO GANYOFILEBA GAIXSNA ZEMO MACXAANSI, ROMELIC AGRETVE MOMSAXUREBAS GAUWEVS MIRZAANIS MACXOVREBLEBSAC. GANYOFILEBA MSROMELTA MOMSAXUREBIS GAUMJOBESEBIS MIZNIT KAVSIRGABMULOBIS WITELWYAROS RAIKANTORAM GAXSNA.

1957 WLIS MARTI

● QEDIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM GASUL WELS ZEMO QEDIS SASADILOSI MZAREULAD MIIRO IVANE QARUMAS ZE CUTLASVILI. MZAREULMA KI SASADILOSI DAIWYO LOTOBA, XULIGNOBA, AGINEBDA TANAMSROMLEBS. GARDA AMISA, MALE MAS ARMOACNDA UNEBARTVOT NAGANIS SISTEMIS REVOLVERI. ISIC GAMOIRKVA, ROM TURME IGI ADRE PASUXISGEBASI NAMYOFI BRZANDEBODA, GAFLANGVA-MTACEBLOBIS BRALDEBIT. WITELWYAROS RAIONIS SAXALXOSASAMARTLOM GAARCIA XULIGAN CUTLASVILIS SAQME DA 4 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJA. XOLO SASJELIS MOXDIS SEMDEG 2 WLIT SAARCEVNO XMIS UFLEBA CAMOERTMEVA.

● ARXILOSKALOS SARAMOS SASUALO SKOLIS PEDKOLEQTIVMA TAVIAANT KREBAZE GAAKRITIKA RAIONIS GANATLEBIS GANYOFILEBIS MUSAKEBI IMISATVIS, ROM ARASAKMAO METODUR DAXMAREBAS UWEVEN MASWAVLEBLEBS. GANATLEBIS GANYOFILEBIS GAMGE AMXANAGI M. LAPIASVILI GVATYOBINEBS, ROM ARNISNULI FAQTEBI SINAMDVILEA. GANYOFILEBA DA MISI PEDAGOGIURI KABINETI SATANADO METODUR DAXMAREBAS MARTLAC AR UWEVEN ARXILOSKALOS SOFLIS AXALGAZRDOBIS MASWAVLEBLEBS SAPROGRAMO MASALIS XARISXIANAD GAVLISA DA ATVISEBIS SAQMESI. MAGRAM AMJAMAD UKVE MIRBULIA ZOMEBI AMIERIDAN ARNISNULI SKOLIS DASAXMAREBLAD.

● ADGILOBRIVI SABWOEBIS ARCEVNEBISTVIS -MZADEBIS DREEBSI NAYOFIER MUSAOBAS EWEODA DABA WITELWYAROS KLUBIS SAARCEVNO UBANI. SAAGITACIO-MASOBRIV MUSAOBASTAN ERTAD TAVIS AMOMRCEVELS KULTURUL MOMSAXUREBASAC UWEVDEN. GASUL KVIRAS SAUBNO SAARCEVO KOMISIAM MOASWYO TAVISI UBNIS AMOMRCEVELTA KOLEQTIURI SVLA KINOSI. MAT KINOSEANSZE INAXULES AXALI POPULARULI QARTULI FILMI `BASIACUKI~. SEANSZE MIWVEULNI IYVNEN DIASAXLISEBI, MOXUCI DA AXALGAZRDA AMOMRCEVLEBI.

● WITELWYAROS MONADIRETA AMXANAGOBIS SAVAWRO MARAZIEBSI SISTEMATIURAD AR ISOVEBA SAFANTI, WAMALI, TOFIS SAWMENDI JAGRISEBI DA MONADIRISTVIS SAWIRO SXVA DAMXMARE MASALA. AMITOM, MONADIRETA AMXANAGOBAM GADAMWYVETI ZOMEBI UNDA MIIROS IMISATVIS, ROM MONKAVSIRIS WEVRTA KANONIERI MOTXOVNA DROULAD DAKMAYOFILDES DA SAVAWRO MARAZIEBI MOMARAGDES.

● WITELWYAROS SARAIONO BIBLIOTEKAM, ROMLIS MUSAOBA REMONTIS GAMO SEWYVETILI IYO, WIGNEBIS GACEMA GANAAXLA. AMJAMAD SAMKITXVELO DARBAZIS SEKETEBA MIMDINAREOBS. WELS BIBLIOTEKASI 26 246 WIGNI ITVLEBA RUSUL, QARTUL DA SOMXURENEBZE. BIBLIOTEKAS ORITVIS MUSAOBIS MANZILZE 200-ZE METI ERTGULI MKITXVELI HYAVS

1961 WLIS MARTI

● UKANASKNEL XANS BEVRI GAKETDA RAIONIS SAAVADMYOFOS KETILMOYOBISTVIS, SARSAN MTELSENOBASI CATARDA KAPITALURI SEKETEBA. MOASFALTDA EZO, SAAVADMYOFO UZRUNVELYOFILIA SASWRAFO DAXMAREBIS ORI AVTOMANQANIT, SEIZINES ASEVE MOZRAVI SADEZINFEQCIO AVTOMANQANA. YEL-YUR-CXVIRIS DA SAOPERACIO KABINETEBI SEIVSO TANAMEDROVE SAMEDICINO AXALI MOWYOBILOBA DANADGAREBIT. RENTGENOLOGIUR KABINETS AQAMDE HQONDA ZALZE MOZVELEBULI APARATI, RIS GAMOC SUL REMONTSI IYO. DAIDGA AXALI `UVERDE~ APARATI, ROMELIC MTLIANAD AKMAYOFILEBS TANAMEDROVE MOTXOVNAS. IGI SAGRZNOBLAD GAAUMJOBESEBS DIAGNOSTIKIS DADGENAS DA XELS SEUWYOBS SAEQIMO PERSONALMA ZUSTAD DA DROULAD DAASKVNAN AVADMYOFOBIS MIZEZI.

● BIBLIOTEKIS MKITXVELTA SORIS ARIAN KARGNIC DA CUDNIC. MAGALITAD AQTIUR MKITXVELTA SORIS GAMOIRCEVA TAMAR KOBAIZE, ROMELMAC 1960 WELS WAIKITXA MXATVRULI DA SEMECNEBITI XASIATIS 62 WIGNI, XOLO WELS, UKANASKNEL 2 TVESI - 18 WIGNI. IGI FAQIZAD INAXAVS, SATUTAD UVLIS DA DROULAD ABRUNEBS WIGNEBS, MAGRAM ISETEBIC ARIAN, ROMELTAC ARA EYUREBAT RA... MAGALITAD SOFEL OZAANSI MCXOVREBMA VARDO JORKOSVILMA ORI WLIS WINAT WAIRO SARAIONO BIBLIOTEKASI ARSEBULI ERTADERTI WIGNI, G. ABASIZIS `LASARELA~ DA DREMDE AR DAUBRUEBIA. RAMDENJERME MIVMARTET, BINAZEC MIVEDIT WIGNIS WAMOSAREBAD, MAGRAM AMAOD. ASEVE UDIERAD IQCEVA WIGNEBIS DABRUNEBAZE MERI SANSIASVILI DA ZOGIERTI SXVA AMXANAGI. ISINI PATIVS AR SCEMEN BIBLIOTEKAS DA MIS MKITXVELEBS, AMITOM ISINI GAKICXVIS RIRSNI ARIAN.

● MRAVALI WLIS GANMAVLOBASI SOFEL GAMARJVEBASI AR HQONDAT KLUBI, AMITOM IQ KINOSURATIS CVENEBA, AN RONISZIEBIS MOWYOBA SEUZLEBELI IYO. MAGRAM AI DRES KOLMEURNETA MADLIANMA MARJVENAM SOFLIS CENTRSI CADGA 600 ADGILIANI KETILMOWYOFILI KULTURIS SAXLI. MAS AQVS ASEVE TVITMOQMEDI WREEBISTVIS KABINETEBI. AMASWINAT MTLIANAD DAMTAVRDA KETILMOWYOBIS SAMUSAOEBI DA MISI KAREBI FARTOD GAIRO. AMOQMEDDA MXATVRULI TVITMOQMEDI WREEBI, ROMELSAC DIMITRI QARTVELISVILI XELMZRVANELOBS. AXAL SCENAZE PIRVELI KONCERTI CAATARES. MOWONEBA DAIMSAXURES CEZARDA ANZOR BIKASVILEBMA, TINA FOCXVERASVILMA, JUJUNA FIROSMANASVILMA. CEKVA QARTULI SAUKETESOD SEASRULES LAMARA MATIASVILMA DA VALIKO SULASVILMA. MAYUREBLIS YURADREBA MIIPYRO ZIZO BIKASVILIS DA AXALGAZRDA MEVENAXE AGRONOMIS GODERZI MIXEILASVILIS MIER FANDURZE SESRULEBULMA SAIREBMA. MAT SAUKETESOD SEWYOBILI XMEBI AQVT. GAMARJVEBIS AXALGAZRDEBIS DIDI NAWILI EBMEBA WREOBRIV MUSAOBASI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტის ინიციატივით სტუდენტები ქართული ენის შესწავლას შეძლებენ

პეკინის უცხო ენათა უნივერსიტეტის სტუდენტები ქართული ენის სწავლას შეძლებენ.

ინიციატივა პეკინის უნივერსიტეტს ეკუთვნის. ჩინეთში საქართველოს ელჩთან ღონიშნული საკითხის შეთანხმებით, გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქართული ენის სასწავლო კურსების გახსნის შესახებ, რომელსაც მეცნიერ-პედაგოგი ნანა გოგოხია უხელმძღვანელებს.

„მე, როგორც ქართველი, რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ ჩინელი სტუდენტები ქართულ ენას შეისწავლიან, გაეცნობიან ქართული ენის კულტურას და მის მრავალფეროვნებას, ჩვენი ენის ისტორიას“, – განაცხადა გოგოხიამ.

მისი სიტყვებით, ჩინეთში ქართული ენის სწავლა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებისა და უფრო მეტად დაახლოების საფუძველი გახდება.

1941 წელს დაარსებულ პეკინის უნივერსიტეტს ჩინეთის ლინგვისტურ სასწავლებლებს შორის დამსახურებული ადგილი უჭირავს. უნივერსიტეტი შედგება 13 სკოლა-ფაკულტეტისგან, შვიდი აკადემიური დეპარტამენტისგან და ათზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისგან.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ნიკა სეფიაშვილი



12 წელი გავიდა იმ ავბედითი 15 მარტიდან, რაც ნიკამ დაგვტოვა და უფალთან მარადისობაში გადაინაცვლა.

ნიკა, ჩვენო მარად 15 წლის ვაჟკაცო, მე და მამაშენი ძალიან დავიღალეთ, სულ შენ გელით, მაგრამ არსად ჩანხარ. შენზე ფიქრსა და მოგონებებში რამდენი ღამე დაგვთენებია, ვიხსენებთ იმ გაჭირვების წლებს, შენი პატარა ხელებით მავთულებს რომ აგროვებდი ჯართში ჩასაბარებლად, ჩემთვის წნევის ნამალი რომ გეყიდა. დედა გენაცვალოს, ჩემო ნიკა, ახლა ამას ვინ გააკეთებს?!

ჩვენო კეთილო და ალალო ბიჭო, პატარა ბავშვმა რამდენი სიკეთის კეთება მოასწარი ყველა ასაკის ადამიანთან, შენს დაწყებულ კეთილ საქმეებს ახლა ჩვენ ვაგრძელებთ, ვიცი, გაგიხარდება. რა ჩამოთვლის შენს კეთილ საქმეებს, შვილო.

28 მარტი შენი დაბადების დღეა, 27 წლის გახდებოდი, შვილო, დაბადების დღეს გილოცავთ ახალ საუფლოში, მანდ იყავი ბედნიერი, არ მოგაკლდეს უფლის წყალობა, ღვთისმშობლის სითბო და დედის ლოცვა-ვედრება. 12 წელია, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში კანდელი არ ჩამიქრია.

ამ ხნის მანძილზე რამდენი ახალგაზრდა წამოვიდა შენთან, ყველას სიკვდილი შენს ტკივილს გვიახლებს. ნეტავი იმათ, ვინც დაოჯახება მოასწრო და შვილები დარჩა, მაგრამ ვაი, თქვენს მშობლებს, ჩვენო ჯანმაგარო, საჯიშე ბიჭებო, რა დააშავეთ?! სად არის სიკვდილო, შენი სანრეტელი, საით მიაქანებ ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენ ხომ ისედაც მცირე ერი ვართ, რამდენი ახალგაზრდა იმსხვერპლა შუღლმა, ომმა, ტრაგიკულმა შემთხვევამ, ლუკმა-პურის საშოვნელად რამდენი გადაიხვეწა უცხო მხარეში, იკარგება ოჯახები, საკითხავია, იქიდან კი დაბრუნდებიან?! ნელ-ნელა ერი შევმცირდით, ღმერთო, ნუ გადააშენებ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

შვილმკვდარი მშობლების იმედად ერთადერთი ეკლესიაა, დედებო, მოდით, ყველამ ერთად მოვიყაროთ თავი ღვთის სახლში, ერთად ვილოცოთ და უფალს შევთხოვოთ, აღარავინ გამწარდეს, დედას გული არ მოუკვდებოდეს, მამას მარჯვენა არ ჩამოეცლებოდეს. უფალმა, როგორც ზღვაში ქვიშა, ისე გაამრავლოს ჩვენი ერი.

თქვენ კი, ჩვენო საფიცარო შვილებო, მაინდან ილოცეთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ღმერთმა გიმრავლოთ მომგონებელი და თქვენზედ მლოცველნი. „ თქვენს კანდელს ზეთი არასოდეს გასთავებოდეს“.

შენი ოჯახი

გიორგი გიეგაშვილი



ჩვენო საყვარელო შვილო გიორგი, უკვე 13 წელია, ჩვენთან აღარ ხარ. უსაზღვროდ გვენატრები ყველას – შენს მშობლებს, ძმას, ახლობლებს. ჩემო ტკბილო და თბილო შვილო, გვენატრება შენი ღიმილი, გვენატრება შენი ხმა, გვენატრები ძალიან.. შენმა უდროო სიკვდილმა მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვა ყველას. რაც დრო გადის, გულის ტკივილი უფრო და უფრო გვემატება, ვერ ვეგუებით უშენობას.

გიორგი, ბოლო პერიოდში ჩვენს სევდაში ერთმა სასიხარულო სხივმა გამოანათა – შენი ძმა მამუკა დაოჯახდა, რამაც ძალიან გაგავახარა. შენც ჩვენთან რომ ყოფილიყავი, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა.

გიორგი, 24 მარტს შენი დაბადების დღეა. ჩვეულებისამებრ მოვალთ, დაგინთებთ სანთლებს და კვლავაც ყვავილებით დაგიმშვენებთ შენს წმინდა სამყოფელს და მოგილოცავთ 33 წლისთავს. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ვაჟკაცო!

შენო ოჯახი

ანზორი, ზაური, თენგიზი და ილია მარტყოფლიშვილები ოჯახებით, თანაგრძნობას უცხადებენ ელიკო ავსაჯანიშვილს მეუღლის, ვაჟა და აკაკი ქადაგიძეებს მამის, ეკა, ზურაბ, ნოდარ, ნინო, მარიამ, რუსუდან და ელენე ქადაგიძეებს პაპის

დიმიტრი (მიტო) ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	52.01.33.008	971,0კვ.მ. (მიწა) 71,7 კვ.მ. (შენობა-ნაგებობა)	1000	10%	5%	100
2	სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.06.32.214	325,0 კვ.მ.	325	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქუჩა	ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის შენობა №1 და №2 (მიწისნაკვეთისგარეშე, დემონტაჟისპირობით- 3 თვის ვადაში მყიდველის მიერ დემონტაჟის პროექტის წარმოდგენით, შენობის დემონტაჟით,ნარჩენი სამშენებლო მასალის გატანით ნაგავსაყრელზე და ტერიტორიის მოსუფთავებით ეზოს ნიშნულის დონეზე)	52.08.32.013	124,74 კვ.მ. 6,6 კვ.მ.	11000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13:00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13:00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14:00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი,ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განცხადება, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300533390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი); კოდი-300533325 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით); კოდი-300533313 (არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ **მისამართზე:** ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია



ვ ა კ ა ნ ს ი ა

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას 18-დან 40-წლამდე ქალბატონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **რუსთაველის ქუჩა №53,** ან დაგვიკავშირდით ნომერზე: ☎ 577-34-55-39

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 3, II-ე სადარბაზო, ბინა 9. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 555 23 26 80.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 19.03		სამშაბათი 20.03		ოთხშაბათი 21.03		ხუთშაბათი 22.03		პარასკევი 23.03		შაბათი 24.03		კვირა 25.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	15 °	12 °	18 °	16 °	18 °	9 °	11 °	9 °	9 °	8 °	17 °	15 °	17 °	15 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.